



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი

25 ოქტომბერი 2022 წელი

N 26/36

ეგზ.: N1

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო
შესყიდვების, შრომის ანაზღაურების და
ტრანსპორტის ხარჯების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

1. შესავალი 4

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 4

აუდიტორის პასუხისმგებლობა 4

აუდიტის საგანი 4

აუდიტის მასშტაბი 4

აუდიტის კრიტერიუმები 4

აუდიტის მიზანი 7

აუდიტის მეთოდოლოგია 7

დანართები ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ 8

2. აუდიტის მიგნებები 9

საკონტაქტო ინფორმაცია 12

შემაჯამებელი მიმოხილვა

შრომის ანაზღაურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომ – საქსტატი) მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტის ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

შტატით დასაქმებულებზე შეთავსებით, შრომითი ხელშეკრულებით გაცემული შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე შტატიანი მოსამსახურეები შრომითი ხელშეკრულებით შეთავსებით მუშაობდნენ შტატგარეშედ და სამუშაო დროის ერთსა და იმავე მონაკვეთს ორივე პოზიციისთვის იყენებდნენ. აღნიშნული განპირობებული იყო საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის და მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესით“¹, რომელიც საშუალებას აძლევდა შტატიან თანამშრომლებს – ძირითადი სამუშაოსგან თავისუფალ ნებისმიერ დროს, მათ შორის, სამუშაო საათებშიც შეესრულებინათ შეთავსებით სამუშაო.

საშტატო თანამდებობაზე დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურების გაანგარიშება ხდებოდა ნამუშევარი საათების მიხედვით და შრომის ანაზღაურების პირველად დოკუმენტს საშტატო განრიგთან ერთად წარმოადგენს ნამუშევარი დროის აღრიცხვის დოკუმენტი – ტაბელი. შესაბამისად, საშტატო სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი დროის რესურსის გამოყენება სხვა დანიშნულებით (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისთვის), წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის რესურსების არაეკონომიურად გამოყენებას.²

2020 წელს – 68, ხოლო 2021 წელს 93 შტატიანი თანამშრომელი პარალელურად მუშაობდა შრომითი ხელშეკრულებით. შეთავსებით მუშაობისას შრომითი ხელშეკრულებით ანაზღაურებულმა თანხამ 2020 წელს – 202,324.69 ლარი, ხოლო 2021 წელს 404,695.05 ლარი შეადგინა.

საქსტატში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო კონტროლს – შტატით გათვალისწინებული თანამშრომლები ძირითად სამუშაოზე განკუთვნილ დროის რა ნაწილს უთმობდნენ შეთავსებით სამუშაოს, რაც ხელს უშლის ხარჯების ეკონომიურ განკარგვას.

¹ საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N13 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი 9.

² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი.

1. შესავალი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საქსტატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – **საქსტატის სახელმწიფო შესყიდვებთან, შრომის ანაზღაურებასთან და ტრანსპორტის ხარჯებთან დაკავშირებული საქმიანობა** შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტის ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცავა საქსტატის საქმიანობის 2020 – 2021 წლების პერიოდი

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

-)/ 2020 და 2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონები;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილება „სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №101 განკარგულებით დამტკიცებული „სტატისტიკური სამუშაოების 2020 წლის პროგრამა“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №175 განკარგულებით დამტკიცებული „სტატისტიკური სამუშაოების 2021 წლის პროგრამა“;

- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 26 დეკემბრის №125 ბრძანება „სტატისტიკური სამუშაოების 2020 წლის პროგრამის განხორციელების ზოგადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის №104 ბრძანება „საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 26 დეკემბრის №125 ბრძანება „სტატისტიკური სამუშაოების 2020 წლის პროგრამის განხორციელების ზოგადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის №48 ბრძანება „სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ზოგიერთი დოკუმენტაციის (1.1 შრომის უსაფრთხოების წესი; 1.2 შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა; 1.3 რისკების შეფასების მეთოდოლოგია; 1.4 შრომის უსაფრთხოების გეგმა) დამტკიცებისა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 18 სექტემბრის №77 ბრძანება „სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 11 სექტემბრის №84 ბრძანება „სამუშაოს აღწერილობების დამტკიცების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 19 სექტემბრის №78 ბრძანებით დამტკიცებული საქსტატის შრომის შინაგანაწესი;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის და მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესი“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 12 მარტის №19 ბრძანება „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 19 მარტის №20 ბრძანება „ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების რისკებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“;
- საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის №49 ბრძანებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით საგანგებო სიტუაციების გეგმა“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-) გამოკითხვა/ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
-) სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
-) აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-) მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი);
-) დოკუმენტური შემოწმება;
-) გარე დადასტურება;
-) ხელახალი გაანგარიშება;
-) ძირითადი აუდიტორული პროცედურები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქსტატი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით. საქსტატი თავის საქმიანობას ახორციელებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით³ დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების, საქსტატის საბჭოს დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საქსტატის საქმიანობის განმხილველი ორგანოა საქსტატთან არსებული საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის წარდგენა, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა, საქსტატის სამტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება, საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. საქსტატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც იმავდროულად არის საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე. საბჭო შედგება 8 წევრისაგან, საიდანაც 1 წევრი არის საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, 1 წევრი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო 1 წევრი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, საბჭოს დანარჩენი 5 წევრი არ უნდა იყოს საჯარო მოსამსახურე.

ქვემოთ მოცემულ N1 ცხრილში წარმოდგენილია საქსტატის 2020-2021 წლების საკასო გასაღები კატეგორიების მიხედვით:

ცხრილი N1

დასახელება	2020 წელი	2021 წელი	ჯამი	თანაფარდობა %
შრომის ანაზღაურება	4,180,146	4,434,595	8,614,741	41.28
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4,499,906	4,853,721	9,353,627	44.82
მივლინება	42,089	24,283	66,372	0.32
ოფისის ხარჯები	467,504	595,099	1,062,603	5.09
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,705	6,520	9,225	0.04
სამედიცინო ხარჯები	3,805	5,540	9,345	0.04
პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	1,748	1,351	3,099	0.01
ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები	95,428	139,139	234,567	1.12
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ³	228,799	426,118	654,918	3.14
გრანტები	58,282	2,410	60,692	0.29
სოციალური უზრუნველყოფა	69,122	56,702	125,824	0.60
სხვა ხარჯები ⁴	53,004	27,272	80,275	0.38
არაფინანსური აქტივების ზრდა	253,616	342,565	596,181	2.86
სულ:	9,956,154	10,915,315	20,871,469	

³ აღნიშნული ძირითადად მოიცავს დაცვის, საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების ხარჯებს.

⁴ სხვა ხარჯები ძირითადად მოიცავს ავტომობილების დაზღვევის და სხვადასხვა მოსაკრებლების ხაჯებს.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შრომის ანაზღაურება

შტატით დასაქმებულებზე შეთავსებით, შრომითი ხელშეკრულებით გაცემული შრომის ანაზღაურების ნაკლოვანებები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით – ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

საქსტატში სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე შტატიანი მოსამსახურეები შრომითი ხელშეკრულებით შეთავსებით მუშაობდნენ შტატგარეშედ, ანუ ფაქტობრივად სამუშაო დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ორ პოზიციაზე იყვნენ დასაქმებული. აღნიშნული განპირობებული იყო საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის და მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესით“, რომელიც საშუალებას აძლევდა შტატიან თანამშრომლებს, ძირითადი სამუშაოსგან თავისუფალ ნებისმიერ დროს, მათ შორის, სამუშაო საათებშიც შეთავსებით შეესრულებინათ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო.

საშტატო თანამდებობაზე დასაქმებული თანამშრომლების სარგო განისაზღვრება ნამუშევარი საათების მიხედვით და შრომის ანაზღაურების პირველად დოკუმენტს საშტატო განრიგთან ერთად წარმოადგენს ნამუშევარი დროის ამსახველი დოკუმენტი – ტაბელი. შესაბამისად, საშტატო სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი დროის რესურსის გამოყენება სხვა საქმიანობისთვის (მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისთვის) წარმოადგენს საჯარო მოსამსახურის რესურსების არაპროდუქტიულ გამოყენებას.

2020 წელს – 68, ხოლო 2021 წელს – 93 შტატიანი თანამშრომელი პარალელურად მუშაობდა შრომითი ხელშეკრულებით. შეთავსებით მუშაობისას შრომითი ხელშეკრულებით ანაზღაურებულმა თანხამ 2020 წელს შეადგინა 202,325 ლარი, 2021 წელს – 404,695 ლარი.

ამასთანავე, გაურკვეველია შტატით განსაზღვრული სამუშაოებისთვის განკუთვნილი დროის რა ნაწილი დაიხარჯა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

საქსტატში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო კონტროლს – შტატით გათვალისწინებული თანამშრომლები რა დროს უთმობდნენ ძირითად სამუშაოს და რამდენს შეთავსებით სამუშაოს, რაც ხელს უშლის ხარჯების ეკონომიურ განკარგვას.

დასკვნა

საქსტატში დასაქმებულების სამუშაო დროის აღრიცხვის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო კონტროლს – შტატით გათვალისწინებული თანამშრომლები რა დროს უთმობდნენ ძირითად სამუშაოს და რამდენს – შეთავსებით სამუშაოს.

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №13 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ფარგლებს გარეთ „საქსტატის“ სისტემაში დასაქმებული პირების მიერ

შეთავსებით სამუშაოს, მისი შესრულების ფორმის და მასთან დაკავშირებული შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის წესი“ ვერ უზრუნველყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნის დაცვას. შესაბამისად, შტატიან თანამშრომლებს საშუალებას აძლევდა სამუშაო საათებშიც შეესრულებინათ შეთავსებით შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო, რაც ზრდის არაეკონომიური ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია

საკანონმდებლო/მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებთან შეუსაბამობის გამო რეკომენდაცია არ გაცემულა.

სახელმწიფო შესყიდვები

საქსტატის 2020-2021 წლების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მოცემულია N2 ცხრილში:

ცხრილი N2

შესყიდვის საშუალება	2020 წელი		2021 წელი		2020-2021 წლები	
	ხელშ. რაოდ.	ღირებ.	ხელშ. რაოდ.	ღირებ.	ხელშ. რაოდ.	ღირებ.
ელექტრ. ტენდერი	16	317,032	24	761,719	40	1,078,751
გამარტივებული შესყიდვები						
კონსოლიდირებული ტენდერი	17	184,403	18	198,811	35	383,214
ზღვრების ფარგლებში	106	131,733	71	109,520	177	241,253
ექსკლუზიური	1	144,000	2	156,500	3	300,500
გადაუდებელი აუცილებლობა			1	18,870	1	18,870
საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით	7	215,276	6	77,276	13	292,552
ნორმატიული აქტით დადგენილი	5	5,736	4	9,805	9	15,541
5 წლამდე ავტომანქანების მომსახურება			1	2,000	1	2,000
წარმომადგენლობით ხარჯები			2	1,833	2	1,833
ხელშეკრულების გარეშე						
წარმომადგენლობით ხარჯები	11	2,705	12	4,963	23	7,668
ნორმატ. აქტით დადგენილი	11	20,518	11	21,907	22	42,425
სულ:	174	1,021,402	152	1,363,205	326	2,384,607

აუდიტით არსებითი შეუსაბამობები არ გამოვლენილა.

ტრანსპორტის ხარჯები

საქსტატის 2020-2021 წლების ტრანსპორტის ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია N3 ცხრილში:

ცხრილი N3

ტრანსპორტის ხარჯები	2020 წელი	2021 წელი	ჯამი
საწვავ/საპოხი მასალების ხარჯი	62,736	90,610	153,346
მიმდინარე რემონტის ხარჯი	25,429	31,584	57,013
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათანადო ნაწილების შეძენის ხარჯი	7,163	16,295	23,458
ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	100	650	750
სულ ხარჯები	95,428	139,139	234,567

აუდიტით არსებითი შეუსაბამოები არ გამოვლენილა

შიდა კონტროლის სისტემა

საქსტატში არსებობს ნათლად განსაზღვრული მმართველობითი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც აუდიტის ობიექტის სიდიდისა და სირთულის შესაფერისია, სადაც ნათლად არის განსაზღვრული საანგარიშგებო/ანგარიშვალდებულების არხები, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციის ყველა სამსახურსა და პერსონალს. მმართველობითი ორგანიზაციული სტრუქტურა და ანგარიშვალდებულებების არხები ეფუძნება საქართველოს კანონს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, საქსტატის დებულებას (2013 წლის 31 დეკემბრის №406 დადგენილება), სტრუქტურული ერთეულების დებულებებს (დამტკიცებულია აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 18 სექტემბრის №77 ბრძანებით) და აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 10 მაისის №41 ბრძანებას „სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორსა და მის მოადგილეს შორის საკუთრებად სტრუქტურული ერთეულების განაწილებისა და უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“.

სხვადასხვა დონის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობები განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების დებულებებით (დამტკიცებულია აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 18 სექტემბრის №77 ბრძანებით) და „სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ აღმასრულებელი დირექტორის 2019 წლის 11 სექტემბრის №84 ბრძანებით.

საქსტატში არსებობს შიდა აუდიტის სამსახური, შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმები, წლიური გეგმები, შესაბამისობის ანგარიშები და წლიური ანგარიშები.

შიდა აუდიტის სამსახური დამტკიცებული წლიური გეგმების საფუძველზე ახორციელებს როგორც აუდიტორულ შემოწმებებს, ასევე ინსპექტირებას,

აუდიტის საგანთან მიმართებით შიდა აუდიტის სამსახურს სამუშაოები არ ჩაუტარებია.

დასკვნა

აუდიტორები

გურამ ყავლაშვილი
წამყვანი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი
უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე
აუდიტორი

ხელმოწერა

გურამ ყავლაშვილი 25.10.2022
ნინო ამირანაშვილი 25.10.2022
თეიმურაზ გოდუაძე 25.10.2022

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE